ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ფასი 10 კაპ. ხუთშაბათი, 1917 წ. მკათათვის 27 (9)

# საქართველო

ხელნაწერი მოწერილი და დაბეჭდილი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სრულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, для газ. „Сакартвело", поч. ящикъ № 76

ტელეფონი 15—73

განცხადების ფასი [illegible] ჩვეულებრივ [illegible] პეტიტის [illegible] კრილზე—20 კაპ. [illegible] 30 კაპ. [illegible]—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოეული ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8 მ., 25×2 ღირს 10 მ. [illegible]

თვიურად გაზეთი ღირს 2 მანეთი. მხოლოდ ქალაქში. ქალაქ გარეთ გაზეთი ერთი თვით არ გაიგზავნება.

№ 163 ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ № 163

## ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ


### ᲡᲐᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

მინისტრი ირ. წერეთელი სამსახურიდან გადადგა.

ტროცკი და ლუნაჩარსკი საპყრობილეში ჩასვეს.

ახალი სამინისტრო შესდგა. კადეტების მხრივ მარტო კოკოშკინი შევიდა.

გამოქცეულ ჯარისკაცთა მღელვარება სარატოვში.

გერმანელთა შტაბის ცნობა.

დაიწყო მეცხრე ყრილობა კადეტების პარტიისა, მიიღეს ვინავერის წინადადება დამფუძნებელი კრების მოწვევისათვის არჩევნების მოწყობაზე.

### ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ

ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ. ირ. წერეთლის წასვლა.

ᲘᲕ. ᲔᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ. სამკურნალო საქმე საქართველოში.

Გ. ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ. ვინ არის ქვეყნის მტერი.

Პ. ᲙᲐᲠᲑᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ. საქართველოს კათოლიკოსის მოსაყდრე ზარზმაში.



კნ. ელენე ივანეს ასული და თავადი ნიკოლოზი ივანეს ძე მაჩაბლები და თავადი გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-დავითიშვილი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ

ᲙᲜᲔᲘᲜᲐ ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲐᲡᲣᲚᲘᲡ

ᲛᲐᲩᲐᲑᲚᲘᲡᲐ

უდროოდ გარდაცვალებას დაბა აბასთუმანში.

დღეს, პანაშვიდი იქმნება გარდახდილი ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, საღამოს 7 საათზედ. დასაფლავების დღე ცალკე გამოცხადდება. 1—730—1

24 ივლისს, სიონის ტაძრის ეზოში პროტოდიაკონის დავით სალარიძის ბინაზედ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, მშვიდად გარდაიცვალა

ᲛᲔᲚᲐᲜᲘᲐ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ

ᲖᲐᲚᲘᲙᲐᲚᲘᲐᲜᲘᲡᲐ

პანაშვიდი საღამოს 8 საათზედ. გამოსვენება ხუთშაბათს, 27 ივლისს, დილის 9 საათზედ. სიონის ტაძარში. 1—728—1

30 ამა ივლისს, კვირას ს. ჭანჭათს (გურია) სამგლოვიარო სახლში გარდახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის

ᲨᲘᲝ ᲚᲐᲕᲠᲔᲜᲢᲘᲡ ᲫᲘᲡ

ᲬᲣᲚᲐᲫᲘᲡ

სულის მოსახსენებლად, რასაც გულდამწვარი მშობლები მღ. ლავრენტი წულაძე და მინადორა თომას ასული აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ეფროსინე იაკობის ასული, შვილები თამარ ალექსის ასული და ბესარიონ ალექსის ძე, რძალი ზინაიდა ალექსანდრეს ასული ჭიჭინაძეები და და ელენე ალექსის ასული ბურჯანაძისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარ

ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲫᲘᲡ

ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲘᲡ

სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქმნება სოფელ ქოლბეში 27 ივლისს, ხუთშაბათს. 1—727—1

მშობლები და ცოლი გარდაცვალებული პოდპორუჩიკ

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ (ᲡᲐᲨᲐ) ᲕᲐᲡᲘᲚᲘᲡ ᲫᲔ

ᲤᲐᲕᲚᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

გულითად მადლობას უძღვნიან ყველა იმ პირთა და დაწესებულებათ, რომელთაც კეთილ ინებეს და გაიზიარეს მათი მწუხარება პირადათ, წერილობით ან დეპეშებით. 1—729—1


# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ!

# ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲜᲝ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲜᲝ!

## მიეცით ხმა საქართველოს ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის საარჩევნო სიას!

# № 2.

## ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲜᲝ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲜᲝ!

### ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ

მიზნადა აქვს სახელმწიფოებრივ ცხოვრების აღდგენა საქართველოში და დამყარება მაში დემოკრატიულ რესპუბლიკისა.

იგი მოითხოვს ვრცელ უფლებიან ავტონომიას სრულიად საქართველოს საზღვრებში.

იგი იცავს თავისუფლებას და თანასწორობას ყოველ მოქალაქესათვის განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა და სარწმუნოებისა.

საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია ერთად-ერთი არა-სოციალისტური ეროვნული პარტიაა საქართველოში:

იგი იცავს **კერძო საკუთრებას**, რადგანაც კერძო საკუთრება—საფუძველია თავისუფლების, თაოსნობის და შემოქმედებისა, მაშასადამე, საფუძველი ერის სიმდიდრის და განვითარებისა.

იგი იცავს მშრომელ ხალხს, სოფლისას და ქალაქისას, ვინაიდგან ყოველი მუშა—შემოქმედი ნაწილია ეროვნული ორგანიზმისა.

იგი იცავს შრომას, ვაჭრობას და მრეწველობას, რომ ცხოვრების ყოველ დარგში აღიძრას და დატრიალდეს ეროვნული ენერგია და მისი ნაყოფი დარჩეს ისევე საქართველოს.

დროა მოისპოს ქართველი ერის ძარცვა და ყვლეფა, მონობა და ექსპლოატაცია.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ჰქადაგებს ერთობას და ებრძვის ყოველგვარ გამთიშავ ძალებს.

იგი არ იზიარებს სოციალისტურ მოძღვრებას და მოქმედებას და ებრძვის კლასთა ბრძოლის გამწვავებას, ვინაიდგან ეს გამწვავება ჰლრღნის ერთობას,ასუსტებს ძალებს, ჰშლის და არღვევს ეროვნულ ორგანიზმს. ჩვენ გვინდა ერთობა და არა ერთმანეთის მტრობა. ეხლანდელ ისტორიულ მომენტში შინაური განხეთქილება საშიშია და სახიფათო უიმისოდაც დასუსტებულ საქართველოსათვის.

**ეროვნულ-დემოკრატიული პარტია** კარგად ჰხედავს, რომ საქართველოს გარს ახვევია უცხო ერები და ჰსცდილობს დაამყაროს მათთან კეთილი განწყობილება მორიგებით და შეთანხმებით.

**ქართველო მოქალაქენო!** მოახლოვდა თბილისის არჩევნებიც.

თბილისი—დედაქალაქია საქართველოსი.

მისი მოწყობა და გამშვენიერება პირდაპირი და წმიდა ვალია ყოველი მამულიშვილისა.

წყალი, ჰაერი, ქუჩა, ბაზარი, ბინა, სანოვაგე, მიმოსვლა, განათება და განათლება... ერთის სიტყვით ქალაქის მოთხოვნილება ათასფერია და ათასნაირი. ეს მოთხოვნილებანი უნდა იქნას დაკმაყოფილებული, თბილისი უნდა დაედაროს ნივთიერ და კულტურულ მოწყობილებით საუკეთესო ევროპიულ ქალაქს, ვინაიდან თბილისი, როგორც დიდი ცენტრი, იზიდავს მრავალ მშრომელ ხალხს, რომლის სულიერი და ნივთიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება უნდა იყოს უმთავრესი მიზანი დემოკრატიულ პარტიის მუნიციპალურ პროგრამისა.

მაგრამ ქართველ კაცისთვის ქალაქის არჩევნებში, გარდა მუნიციპალურ მოთხოვნილებისა, კიდევ არის სხვა აზრი უფრო ღრმა, უფრო მწვავე და საბედისწერო.

თბილისში ბევრია საქართველოს მშრომელი ხალხი, თბილისს გარს ახვევია ქართველი ერი. თბილისი ცენტრია ნივთიერი და სულიერი მთელი საქართველოსი. მაში ჰდუღს და მიმდინარეობს განუწყვეტელი გაცვლა-გამოცვლა არა მარტო ნივთიერ ნაწარმოებისა, არამედ აგრეთვე აზრის და გრძნობისა, ნების და სულის კვეთებისა, თბილისი და საქართველო მოქცეულია ერთ და იმავე ეროვნულ ცნობიერებაში: აქ არის კვანძი მთელი ერის ნერვიულ სისტემისა.

თბილისის დაკარგვა—თავის მოჭრაა... მაშასადამე სიკვდილი მთელი ქართველი ერისა.

ქართველნო მოქალაქენო! ჩაუკვირდით ამას და თუ ცოტათი მაინც შეგრჩენიათ ქართული სული, ადექით, გამოდით სახლიდან და მიიღეთ მონაწილეობა კვირას, 30 ივლისს, ჩვენი დედაქალაქის არჩევნებში.

**მიეცით ხმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის საარჩევნო სიას.**

№ 2.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕ. ᲓᲔᲛᲝᲙ. ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ-ᲓᲔᲛ. ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲮᲛᲝᲡᲐᲜᲗᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲐ.

1. **ᲯᲣᲠᲣᲚᲘ** გიორგი დურმიშხანისძე—ქალაქის ხმოსანი. ქალაქის საბჭოს წევრი.
2. **ᲒᲕᲐᲖᲐᲕᲐ** გიორგი ბეჟანის ძე—ნაფიცი ვექილი.
3. **ᲙᲔᲓᲘᲐ** სპირიდონ მალხაზის ძე—პუბლიცისტი.
4. **ᲥᲘᲥᲝᲫᲔ** გერონტი დიმიტრის ძე—პუბლიცისტი.
5. **ᲕᲔᲨᲐᲞᲘᲫᲔ (ᲕᲔᲨᲐᲞᲔᲚᲘ)** გრიგოლ გიორგის ძე—გაზეთ „საქართველოს" რედაქტორი.
6. **ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ** იოსებ კონსტანტინის ძე—ნაფიცი ვექილი.
7. **ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ** ისიდ მერაბის ძე—ამიერ-კავკასიის ბანკის გამგე.
8. **ᲒᲝᲗᲣᲐ** პართენ ალექსანდრის ძე—სამეურნეო ბანკის დირექტორი.
9. **ᲕᲐᲩᲜᲐᲫᲔ** დავით გედევანის ძე—ჟურნალისტი, კოოპერატორი.
10. **ᲘᲛᲐᲜᲘᲪᲙᲘ** რეგინე ალექსანდრის ძე—(Რ. ᲘᲜᲒᲘᲚᲝ) სამართლის კანდიდატი.
11. **ᲑᲔᲠᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ვასილ გერასიმეს ძე—კომერსანტი.
12. **ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ** ალექსანდრე სამსონის ძე—ჟურნალისტი, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.
13. **ᲬᲔᲠᲐᲫᲔ** ნიკოლოზ ბესტჭის ძე—ხმოსანი ქ. თბილისის.
14. **ᲥᲣᲠᲓᲘᲐᲜᲘ** გიორგი ივანეს ძე—ინჟინერი.
15. **ᲗᲐᲧᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ** ექვთიმე სიმონის ძე—ისტორიკოსი, თავმჯდომარე საქ. საეთნოგრაფიო საისტორიო საზოგადოებისა.
16. **ᲔᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ივანე სპირიდონის ძე—ექიმი.
17. **ᲛᲐᲛᲠᲐᲫᲔ** პეტრე გრიგოლის ძე—ინჟინერ-ტეხნოლოგი.
18. **ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ** დიმიტრი ვასილის ძე—ექიმი.
19. **ᲒᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ლეონიდე ალექსანდრეს ძე—კოოპერატორი) ჟურნალისტი.
20. **ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ** პავლე იოსების ძე—ნაფიცი ვექილი.
21. **ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ** გიორგი ლუარსაბის ძე—ნოტარიუსი.
22. **ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘ** დომინიკა ზურაბის ასული—(ᲑᲐᲜᲓᲔᲑᲘᲚᲘ, —მწერალი.
23. **ᲩᲘᲯᲐᲕᲐᲫᲔ** თამარა დავითის ასული—მასწავლებელი.
24. **ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔ** დიმიტრი მოსეს ძე—პედაგოგი.
25. **ᲒᲣᲜᲪᲐᲫᲔ** ირაკლი ალექსანდრეს ძე—ნაფიცი ვექილი.
26. **ᲫᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ** სიმონ ალექსის ძე—აგრონომი.
28. **ᲒᲐᲒᲣᲜᲘᲐ** სილოვან გრიგოლის ძე—ნაფიცი ვექილი.
29. **ᲙᲐᲮᲘᲫᲔ** ვასილი ბესარიონის ძე—ხარჯთა კრეფის ინსპექტორი.
30. **ᲑᲕᲔᲚᲔᲡᲘᲐᲜᲘ** იოსებ იოსების ძე—კომერსანტი.
31. **ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔ** იოსებ ნიკოს ძე—„თბილისის წვრილ ვაჭართა საზოგადოების თავმჯდომარე".
32. **ᲗᲘᲙᲐᲜᲐᲫᲔ** ივანე ელიზბარის ძე—ექიმი.
33. **ᲛᲐᲚᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ივანე გრიგოლის ძე—ნაფიცი ვექილი.
34. **ᲕᲐᲩᲜᲐᲫᲔ** ლევან ალექსანდრეს ძე—ხმოსანი (ქალაქის)
35. **ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔ** ნოშრევან ნიკოლოზის ძე—ხელოსანი
36. **ᲑᲔᲠᲫᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ** ივანე სიმონის ძე—ხელოსანი.
37. **ᲘᲕᲐᲜᲘᲪᲙᲘ** ვახტანგ აპოლონის ძე— მთის ინჟინერი.
38. **ᲮᲐᲮᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ნიკოლოზ ანტონის ძე—ვაჭარი.
39. **ᲒᲐᲠᲐᲧᲐᲜᲘᲫᲔ** ვასილი ავთანდილის ძე—ბუღალტერი.
40. **ᲥᲣᲚᲘᲜᲘᲐ** სეონ შერვანდინის ძე—კომერსანტი.

# ქართველნო ამომრჩეველნო

ᲕᲘᲜᲪ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲡᲣᲚᲜᲘ ᲮᲐᲠᲗ **ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲘᲗ** ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ.

# ᲐᲛ ᲗᲕᲘᲡ 30-Ს ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲐ

## არ დაგვიკარგოთ თქვენი ხმა!

ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲮᲛᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲕᲐᲛ ᲥᲐᲚᲐᲥᲡ ᲓᲐᲐᲙᲚᲝᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲛᲝᲡᲐᲜᲘ

## თბილისი, მკათათვის 27.

# ირაკლი წერეთლის წასვლა

ახალი სამინისტრო შესდგა. სამინისტრო კვლავ კოალიციურია, მაგრამ კერენსკის კოალიცია დიდად განსხვავდება წინანდელ კოალიციისაგან.

კერენსკის სამინისტროში აღარ არის ლიდერი რუსეთის სოციალ-დემოკრატიისა, ირაკლი წერეთელი.

რატომ წავიდა ი. წერეთელი?

— „თუ აღმოჩნდა რომ რევოლიუციური დემოკრატიის უმრავლესობა არ ეთანხმება მთავრობის შეხედულებას რევოლიუციის მიზანთა გარკვევაში, მე მაშინვე დავანებებ თავს მმართველობას და რევოლიუციურ დემოკრატიის უმრავლესობასთან მივალ... ვინაიდან ჩემი ღრმა რწმენით რევოლიუციურ დემოკრატიის მოშორებით არავითარ ძალას არ ძალუძს ქვეყნის ხსნა. და თუ რევოლუციურმა დემოკრატიამ სხვა დანარჩენ ცხოველ ძალებთან შეერთება ვერ მოახერხა—მაშინ აღარც ხსნა იქნება“!..

ასე ამბობდა მინისტრი ირაკლი წერეთელი აღმასრულებელ კომიტეტთა 17 ივლისის პლენუმის კრებაზედ.

გავიდა ერთი კვირა და ირაკლი წერეთელმა კიდეც დაანება თავი მინისტრობას

თუ მისვე ნათქვამს ვიხელმძღვანელებთ, რევოლუციონური დემოკრატია ვერ შეთანხმებია მთავრობას, ვერ შესძლებია საზოგადოებრივ ძალთა გაერთიანება და მაშასადამე აღარც ხსნა ყოფილა?

მაგრამ აქ სხვა გარემოებაც იხედება. ირაკლი წერეთელი შეურიგებელ თვალსაზრისს დაადგა სოციალისტებისა და ბურჟუაზიის საკოალიციო პროგრამ ის შედგენაში. რითი აიხსნება მერე ასეთი რადიკალობა? ან ი. წერეთელს სწამს რუსეთის ბურჟუაზიისათვის მოუნელებელ სოციალურ და პოლიტიკურ ექსპერიმენტების განხორციელება, ან და ი. წერეთელს არ სწამს ეს და ბურჟუაზიულ კლასისათვის მიუღებელ საკოალიციო პროგრამას მიტომ იცავს, რომ ი. წერეთელი უკვე საკმაოდ დარწმუნდა რუსეთის პროლეტარიატის პოლიტიკურ უუნარობაში და თავის რადიკალობით იგი მარტო თავის თავს კი არა, თავის დანარჩენ სოციალისტ ამხანაგებსაც უმზადებს სახელმწიფო მმართველობის მაღალ და პასუხისმგებელ პოზიციებიდან უკან დასახევ გზას.

# სამკურნალო საქმე საქართველოში

ძველი რეჟიმის მთავრობა საქართველოში სამკურნალო-სასანიტარო საქმეშიაც იმავე გზას ადგა, როგორადაც მართვა-გამგეობის სხვა დარგებში: ყოველგან და ყოველთვის რუსიფიკაციის გზით მიდიოდა, თავის მომხრე მოხელეებს ურიგებდა საპასუხისმგებლო ადგილებს და მხოლოდ იმის ცდასა და მზრუნველობაში იყო, რომ რუსებით დასახლებული ახალშენები მოეწყო სანიტარულის მხრით ამ ახალშენთა საკეთილდღეოდ. ხოლო თვით საქართველოს მკვიდრთა საკეთილდღეოდ თითქმის არა კეთდებოდა-რა და, თუ კეთდებოდა ცოტა რამ, ისიც ზერელედ, მხოლოდ ნამუსის გასაწმენდად და უმეტეს ნაწილად კი თავის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ამ მხრივ უნდა განვიხილოთ მაზრისა და ქალაქის მკურნალების მოქმედება მაზრებსა და ქალაქებში, რომელნიც უმთავრეს თავის დროს ახმარებდნენ საპოლიციო და სამსჯავრო საქმეებს. ხალხის ჯანმრთელობისა და სანიტარიის საქმეს მხოლოდ მარტო ემსახურებოდნენ ის თითო-ოროლა სოფლის ქსენონების მკურნალები, რომელნიც ფრიად იშვიათნი იყვნენ საქართველოს მიდამოებში, და რომელთაც არც საშუალება და არც შეძლება ჰქონდათ რიგიანად მოევლოთ სამკურნალო-სასანიტარო საქმეებისთვის. ჯერ ჯერობით არც გაგონილა და არც ნახულა, რომ ძველ მთავრობას ქართველებისთვის რაიმე გაეკეთებინოს იმ მაგვარი, რაიც კეთდებოდა რუსების ახალშენებში: ციებ-ცხელებიან ადგილების სანიტარული მოწესრიგება, მკვიდრთა ქინა-ქინით უზრუნველყოფა, ციებ-ცხელებიან ადგილების მკურნალებითა და ფერშლებით გაძღოლა და სხვა და სხვა. ამიტომაც საქართველოს მკვიდრნი იძულებულნი იყვნენ თვით გაძღოლოდნენ თავიანთ ჯანმრთელობის საქმეს და თავიანთ, იმავე მართველობისაგან დაცალიერებულ ჯიბის მეოხებით ეპატრონათ თავიანთ თავისათვის. ხოლო, არა თუ დაცალიერებულს, არამედ ფულით გატენილს ჯიბესაც არ შეუძლია ამ მხრივ სამსახური გაუწიოს ქვეყანას, თუ რომ არ არსებობს რაციონალურად შემუშავებულ-დამზადებული სისტემა. და ასეთი რამ კი სად იყო? ან ვინ უნდა გაძღოლოდა ამ საქმეს? ნუ თუ ის უცხო მოხელეები, რომელთა სამკურნალო და სასანიტარო ცოდნა „ოტპუსკებითა“ და „პერეპისკებით“ განისაზღვრებოდა? ეს ხალხი ხომ მართლაც უცხო იყო, არა თუ გვარ-ტომიანობით, არამედ არსებითად და.ც.არც ერთ მათგანს არ შესწევდა არა თუ სამეცნიერო მომზადება, არამედ უბრალო, ელემენტარული ცოდნაც კი ქვეყნისა, ხალხისა და მთელი იმ მიდამოისა, საცა უნდა დაემყარებინა ხალხის სამკურნალო და სასანიტარო კეთილდღეობა.

ასე მიმდინარეობდა საქმე შავბნელით მოცულ ძველი რეჟიმის დროს. რა ხდება დღეს და ვინ ფიქრობს ან რა გზით მიმდინარეობს ამ ხანად ეს საქმე?

როგორცა სჩანს, ფრიად სახიფათოდ.

სახიფათოდ იმიტომ რომ, თუ რომლისამე რევოლიუციონურ პარტიის კაცი არა ხარ, საქმეზე არ მიგიშვებენ და, ადვილი შესაძლებელია, კაცი იყვეს დიდად პატივცემული პოლიტიკური მოღვაწე და ფრიად ცუდი სანიტარი და მკურნალი და პირიქითაც, კარგი მკურნალი და ცუდი პოლიტიკური მოღვაწე.

მაშასადამე რაშია ხსნა?

ხსნას უნდა ვეძებდეთ, ჩვენის აზრით, იმაში, რომ ამ საქმეს სათავეში ჩაუდგნენ ამხანაგ მკურნალებისაგან არჩეულნი მომზადებულნი ამ საქმეში პირნი განურჩევლად პარტიისა, ხოლო, რასაკვირველია, არა გამოჩენილნი რეაქციონერნი და ძველი რეჟიმის ყურმოჭრილნი ყმანი.

ისიც უნდა ვსთქვათ, რომ მკურნალთა შორის იმ თავითვე თითებზე ჩამოსათვლელნი იყვნენ რეაქციონერები და მკურნალთა დიდი უმეტესობა ძველი მართველობის მოწინააღმდეგე იყო. ამ ფაქტს ყოველწლიურად ადასტურებდნენ მკურნალთა ყრილობები და კრებები მთელის რუსეთის სივრცესიგანეზე. ეს მოსაზრება მხოლოდ სიტყვამ მოიტანა და იმიტომ შევაჩერეთ ცოტა ხნით მაზედ მკითხველის ყურადღება. ჩვენი მიზანი კი ის არის, თუ როგორი ყურადღება უნდა მიექცეს ამ ხალხისათვის ფრიად საგულისხმიერო საქმეს ამ ხანად.

რაც უნდა მკვიდრი და ფართო პოლიტიკური თავისუფლება დამყარდეს, რაც უნდა საგულისხმიერო სოციალური რეფორმები განხორციელდეს ცხოვრებაში, თუ ხალხის ჯანმრთელობისა და სანიტარული კეთილდღეობის საქმე სასურველსა და საიმედო კალაპოტში არ ჩადგა, ყოველივე ამაოდ ჩაივლის.

ჩირადაც არ ეღირება პოლიტიკური თავისუფლების დამყარება და სოციალური რეფორმების განხორციელება იმ ხალხისთვის, რომელიც მალარიის, ჭლექისა და ლუესისაგან დაავადმყოფებულ-დასაბუნებულია.

მკურნალი ივანე ელიაშვილი.

(დასასრული იქნება).

# ვინ არის ქვეყნის მტერი?

ორი ათას წელიწადზე მეტია მას შემდეგ, რაც ქართველი ერი იმ მიწა-წყალზე ბინადრობს, სადაც ეხლა ჰცხოვრობს. ამ ორი ათასი წლის განმავლობაში მას მრავალი წვალება გამოუვლია და ძრიელ მცირე ბედნიერება უნახავს.

მისი სიცოცხლისა და ცხოვრების უმთავრესი მიზანი ყოველთვის ის იყო, რომ ებრძოლა შემოსულ მტრებთან, რათა დაეცვა და შთამავლობისთვის გადმოეცა თვისი დამოუკიდებლობა, თვისი საყვარელი მიწა წყალი, კულტურა, ენა, სარწმუნოება და სხვა. და მართლაც მან საკვირვლად შესრულა თავისი სიცოცხლის უმთავრესი მიზანი.

იმ დროს, როცა დაეცნენ და აღიგავნენ პირისაგან ქვეყნისა მასზედ უფრო დიდი და ძლიერი უწინდელი ერები, მაგ. ეგვიპტელები, ფინიკელნი, ბაბილონელები, ასურელები, ბერძნები და და მთელ ქვეყანაზე განთქმული რომაელები, პატარა ქართველმა ხალხმა შესძლო დაეცვა არა მარტო თვისი არსებობა, არამედ ყოველივე, რაც კი ჰქონდა.

ეს მით უფრო საკვირველია, რომ მას ამ დიადი საქმის შესრულებაში გარეშე მტრებს გარდა, ყოველთვის შინაურ მტრებთანაც უხდებოდა მედგარი ბრძოლა.

საქართველო მხოლოდთ მაშინ იყო უფრო ბედნიერი და ძლიერი, როცა მთელი ქვეყანა და მთელი ერი გაერთიანებული იყო. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი ხანა ძრიელ იშვიათია ჩვენს ისტორიაში. ჩვენი ქვეყანა უფრო ხშირად დანაწილებული იყო და ქართველებიც არ სცხოვრობდნენ და მოქმედებდნენ თანხმობითა და სიყვარულით. მტრობა და შინაური ბრძოლა, თითქო, ჩვენი ხალხის ისტორიულ სენს შეადგენს. და სწორედ ამ უთანხმოებამ და შინაურმა ბრძოლამ უფრო დაასუსტა იგი და ჩააგდო ისეთი მდგომარეობაში, რომ ვეღარ შესძლო გარეშე მტრებთან ბრძოლა და იძულებული იყო შეკედლებოდა ოცი საუკუნის მედგარი ბრძოლის შემდეგ გარეშე მტრებთან, მართლ-მადიდებელ რუსეთის სახელმწიფოს, და ეთხოვნა რუსეთის იმპერატორებს, მფარველობა გაეწია მისთვის, მაგრამ იმ პირობით, რომ მისი დამოუკიდებლობა და ყოველივე, რისთვისაც იგი ისე მამაცურად იბრძოდა წინეთ, ხელ უხლებელი დარჩენოდა. სწორედ ასეთი პირობით შეეკრა იგი რუსეთის იმპერატორებს.

მაგრამ რუსეთის იმპერატორებმა უღალატეს ქართველ ერს,—დაარღვიეს მათ მიერ ხელმოწერილი პირობები, წაართვეს მას არა თუ დამოუკიდებელი პოლიტიკური არსებობა, არამედ ყოველივე, რაც კი მისთვის ძვირფასი იყო და დაადგეს მძიმე უღელი.

ქართველებმა ვერ აიტანეს, რასაკვირველია, ეს უსამართლობა და ცხადად, თუ ფარულად ყოველთვის იბრძოდნენ, რომ როგორმე დაებრუნებიათ ის, რაც მას ასე უსამართლოთ წაართვეს, მაგრამ ამაოდ.

ერთი საუკუნის განმავლობაში ვიმყოფებოდით ასეთ საშინელ მდგომარეობაში, მაგრამ რუსეთში მოულოდნელად მოხდა გარდაქმნა—რევოლიუცია, დაინგრა ტახტი, შეიმუსრა აბსოლიუტური იმპერიალიზმი და გამოცხადდა თავისუფლება.

ამ ძვირფასი მომენტით სარგებლობენ ყველა ერები, რომლებიც კი რუსეთში სცხოვრობენ და სცდილობენ დაიბრუნონ თავ სუფლებასთან ერთად ყველაფერი, რაც კი ძალმომრეობით წაართვეს რუსეთის იმპერატორებმა.

სამწუხაროდ მარტო ქართველებს ვერ მოუხერხებიათ, რომ მათაც სხვებს მიბაძონ, და თავისი ქვეყნის თავისუფლებისა და წართმეული უფლების აღსადგენათ იბრძოლონ ყველამ ერთად, თანხმობით.

დღეს ყოველი ქართველის მოვალეობაა იბრძოლოს მთელი თავის ძალღონით იმისთვის, რომ მოუპოვოს თავის დაჩაგრულ ერს თავისუფლება თავისუფალ რუსეთში, ესე იგი, დღეს ჩვენი სანატრელი და სანუკვარია ჩვენი ერის ავტონომია ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით.

მაგრამ ნაცვლად ამისა რასა ვხედავთ ჩვენ? ქართველები, დაყოფილნი, სხვა და სხვა პარტიებათ, ერთმანეთს ებრძვიან და მითი საქვეყნო საქმის მოგვარებას აბრკოლებენ.

მე არა მჯერა, რომ ნამდვილად იყოს ქვეყანაზე ისეთი შეგნებული ადამიანი, რომელსაც არ უყვარდეს უცხო ქვეყანაზე უფრო თვისი საკუთარი სამშობლო და თვისი ერი, რადგანაც ეს ბუნების კანონის მოთხოვნილების წინააღმდეგია, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ჩვენში მოიპოებიან ისეთი მიმართულების ვაჟბატონები, რომლებიც უმეტესად მთელი ქვეყნიერების ბედნიერებისთვის იღვწიან და ამავე დროს თითქმის სრულებით არა ზრუნავენ თავიანთი სამშობლოსა და ერის კეთილდღეობისათვის.

აი სწორედ ასეთი მიმართულების ვაჟბატონები მიგვაჩნია ჩვენ ქვეყნის მტრად.

გ. იოსელიანი.

# ომი და ზავი

**რუმინელების ნადავლი და ტყვეები.**

**იასსი.** მკათათვის 22. რუმინეთიდან მიღებულ ცნობებით, მკათათვის 10—15-დე მათ ხელთ უგდიათ მტრის 50 აფიცერი, 3207 ჯარისკაცი, 15 მძიმე და 38 საველე ზარბაზანი, 4 ჰაერში ყუმბარის მტყორცნელი, 40 სასანგრე მორტირი, 4 ნაღმის მსროლელი, 35 ტყვიის მფრქვეველი 3 უმავთულო ტელეგრაფის სადგური, მრავალი ყუმბარა, პატრონა და ხელით სასროლი ყუმბარები.

**ლაშქრის კომიტეტი გმობს მოღალატეთ.**

**მოქმედი ლაშქარი.** მკათათვის 24. მესამე ლაშქრის სალაშქრო კომიტეტი მიღებულ რეზოლიუციით ზიზღს უცხადებს ყველა იმ სამშობლოსა და რევოლიუციის მოღალატეთ, ვინც სამხედრო ბრძანებებს არ ასრულებენ. რეზოლიუცია მოუწოდებს მათ, ვისთვისაც ჯერ კიდევ ძვირფასია თავისუფლება, და სთხოვს, რომ ისინიც ასევე მოეპყრან ყველა მშიშარას და რევოლიუციის მოღალატეთ. თავის მხრივ კომიტეტი მშიშარა მოღალატეთა წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადება და სთხოვს აგრეთვე სხვა კომიტეტებს, რომ მათ მთელი ძალღონით დახმარება აღმოუჩინონ ამ საქმეში.

**არტილერიის სროლა ბარანოვიჩის ხაზზე.**

**მოქმედი ლაშქარი.** მკათათვის 24. ბარანოვიჩის მიმართულებით მტერი ასპარეზის მახლობელ ზურგს ხშირად სროლას უტეხს. ალექსანდროვის რკინისგზის ლიანდაგს ძიმე ზარბაზნების ყუმბარებსაც უშენდნენ.

**რუმინეთის სენატორებისა და პარლამენტის დეპუტატების ყრილობა.**

**იასსი.** მკათათვის 22. სახელმწიფო ცხოვრების მიმდინარე საკითხების განსახილველად სენატორებისა და პარლამენტის დეპუტატების საერთო ყრილობა მოხდა.

**გამოქცეულ ჯარის კაცთა მდგომარეობა**

**სარატოვი.** მკათათვის 24. ვინაიდან ფრონტიდან გამოქცეულ ჯარისკაცებს თავს უყრიან გასაგზავნად, და მათ შორის მღელვარება ჩნდება, მკათათვის 27 დის აიკრძალა ყოველივე მიტინგები და ყრილობა. დღემდის 1000 გამოქცეული ჯარის კაცი გაიგზავნა ფრონტზე.

**გაზ. „ოკოპნაია პრავდა“-ს დახურვა რიგა.** მკათათვის 24. ლაშქრის სარდლისა და კერენსკის ბრძანების თანახმად დაიკეტა გაზ. „ოკოპნაია პრავდა“. რედაქტორი და თანამშრომლები პასუხისგებაში არიან მიცემულნი. გუშინ „ოკოპნაია პრავდა“-ს მაგიერ „ოკოპნი ნაბატ“-ი გამოვიდა.

**ჯარისკაცების შემოწმება.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 24. თანახმად სამხედრო მინისტრის ბრძანებისა მოქმედ ლაშქრის ნაწილებიდან თვითოეული ჯარისკაცის სამსახურიდან დათხოვნისათვის მეორედ შემოწმება მხოლოდ ერთხელ უნდა ჰხდებოდეს. სამარშო როტების ჯარისკაცებს და აგრეთვე შინაგან გუბერნიებში შემოწმებულებს ლაშქარში გამოცხადების დროს სრულებით აღარ უნდა ამოწმებდნენ.

**საფრანგეთის შტაბის ცნობა.**

**პარიზი.** მკათათვის 24. ოფიციალური დის ცნობა. ბელგეთის ფრონტზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა. მტრის იერიში ყველგან მოგერიებულ იქმნენ. აქა იქ არტილერია ძლიერად მოქმედობს. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

**არტილერიის სროლა მაკედონიის ფრონტზე.**

**სოლუნი.** მკათათვის 23. დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. აქა-იქ პაწია შეტაკებანი ჰხდებოდა. მტრის არტილერია ჩვენ სანგრებს შეუწყვეტლივ ყუმბარებს უშენს.

**ბრძოლა ხოტინთან.**

**კიშინიოვი.** მკათათვის 24. გუბერნიის კომისარს აცნობებენ, რომ რუსის ჯარმა მტერი ხოტინიდან გადენა.

# გერმანელების შტაბის ცნობა

**დასავლეთის ფრონტი.**

კრონპრინც რუპრეხტის ფრონტზედ ფლანდრეთში მკათათვის 16 საარტილერიო ბრძოლა რიგრიგიდან დაწყებული უალამემდის შეუწყვეტლივ სწარმოებდა. ამ ბრძოლაში არტილერია უძლიერეს ცეცხლს ანთებდა. ალაგ-ალაგ ჩვენსა და მტრის ქვეითა ჯარს გაცხარებული შეტაკება უხდებათ. ლა-ბასეს არხიდან სკორპას სამხრეთ ნაპირამდის სადამოთი საარტილერიო ბრძოლა გაცხოველდა. მანშის აღმოსავლეთით წუხელ ინგლისის ბატალიონმა იერიშები მოიგერიეთ. სენ-კანტენის ჩრდილო-დასავლეთით, ოსრუსთან ინგლისელების იერიშებს ზარალი არ მოუყენებიათ.

**კრონპრინცის ლაშქრის ფრონტზედ.**

შემინ-დე-დამის მიმართულებით და მაასის მახლობლად სამხედრო მოქმედება გაცხოველდა. ეილეას ჩრდილო-დასავლეთით ფრანგებმა ოთხი იერიში მოიტანეს: ერთი დილით და სამიც საღამოთი. ყველა იერიშები ხელჩართულ ბრძოლით კიდეის ერთმა პოლკმა მოიგერია. საჰაერო მოქმედება მეტად ცხოველდება. ეს განსაკუთრებით ფლანდრეთის ფრონტზე ითქმის.

# სარევოლუციო დიქტატურა

## დეპეშები

**მინისტრების გადადგომა**

**პეტროგრადი.** მკათათვის 24. თანახმად თავიანთ განცხადებებისა თანამდებობიდან განთავისუფლებულ იქმნენ: ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი და საშინაო საქმეთა სამინისტროს გამგე ირაკ. წერეთელი. სახელმწიფო კონტროლერი გოდნევი და უწმ. სინოდის ობერ-პროკურორი ვლადიმერ ლვოვი.

**ტროცკის და ლუნაჩარსკის შეპყრობა**

**პეტროგრადი.** მკათათვის 24. შეიპყრეს და სატითაო სატუსაღოებში მოათავსეს ტროცკი და ლუნაჩარსკი.

**სამინისტროს შემადგენლობა**

**პეტროგრადი.** მკათათვის 24. სამინისტროს შემადგენლობაში შევიდნენ: მინისტრი თავმჯდომარე და სამხედრო - საზღვაო მინისტრი კერენსკი; სამხედრო სამინისტროს გამგე სავინკოვი; საზღვაო სამინისტროს გამგე ლებედევი; მინისტრ თავმჯდომარის მოადგილე ნეკრასოვი—იგივე ფინანსთა მინისტრი; ფინანსთა სამინისტროს გამგე პროფესორი ვერნადსკი; შინაგან საქმეთა მინისტრი ავქსენტიევი; გარეშე საქმეთა მინისტრი ტერეშჩენკო; ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი პროკოპოვიჩი; მიწადმოქმედების მინისტრი ჩერნოვი; შრომის მინისტრი სკობელევი; სურსათის მინისტრი პეშეხონოვი; ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი ნიკიტინი; სახალხო განათლების მინისტრი აკადემიკოსი ოლდენბურგი; იუსტიციის მინისტრი ზარუდნი; გზათა მინისტრი იურენევი; სინოდის ობერ პროკურორი კარტაშოვი; სახელმწიფოს მეთვალყურე კოკოშკინი.

# რუსეთი და უცხოეთი

**ჩრდილო ფინეთში გერმანელებს ციმბირის ჭირის ბ ცილების შეტანა უცდიათ.**

**სტოკჰოლმი.** მკათათვის 23. გელლივარეში პროკურორმა, რომელსაც როზენის საქმის გამოძიება ჰქონდა დავალებული, საანალიზოდ კოლეგიით საეჭვო შაქრის ნატეხები წარადგინა. როგორც იტყობინებიან, შაქრის 4 ნატეხში შუშის პატარა მილებით ციმბირის ჭირის ბაცილები აღმოუჩენიათ. ხმებია, რომ ეს შაქარი იმ სამ ფინელს ეკუთვნოდა რომელნიც როზენის ექსპედიციას მოჰყვნენ გერმანეთიდან.. როგორც სჩანს ეს გერმანელების ახალი ცდაა ჩრდილო ფინეთში ციმბირის ჭირის ბაცილების შესატანათ.

**მუშა ხელის ნაკლებობა რკინის გზაზე.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 24. რკინის გზაზე დიდი ნაკლებულობაა მუშა ხელის. ამის გამო გზათა მინისტრმა თხოვნით მიმართა სამხედრო მინისტრს, რომ ნება დართონ სახლში მიმავალ ჯარისკაცებს რკინის გზებზე შევიდნენ სამსახურში.

**ხმოსნების რიცხვი.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 24. მოდის ცნობები, რომ საერობო კრებათა და საქალაქო საბჭოთა ხმოსნების რიცხვი სჭარბობს დროებითი მთავრობისაგან დადგენილ 100 პროც. შინაგან საქმეთა სამინისტრო განმარტავს, რომ სამინისტრო წინააღმდეგი არ არის ამისა, ოღონდ ყოველი საშუალებით ეცადეთ, რაც შეიძლება ჩქარა მოახდინოთ ახალი არჩევნები საქალაქო საბჭოებში და სამაზრო თუ სავოლოსტო ერობებში.

**საზღვარგარეთ ნასწავლ ექიმების საყურადღებოდ.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუდგენია კანონ-პროექტი, რომ საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში სწავლადამთავრებულ რუსეთის მოქალაქეთ, რომლებიც მიიღებენ საექიმო დიპლომებს 21 ქრისტეშობისთვემდე 1917 წლისა, ნება მიეცეთ ექიმობისა რუსეთში.

# ქრონიკა

## თბილისი

◆ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის I-ლი უბნის კომიტეტი ამით აუწყებს უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამოაზრეთ, რომ პარასკევს 28 მკათათვეს, საღამოს 8 საათზე ქართულ გიმნაზიაში გაიმართება საზოგადო კრება, თბილისის საქალაქო არჩევნების შესახებ.

◆ **ანასტასია მაჩაბლის ცხედრის მოსვენება.** 24 მკათათვეს აბასთუმანში გარდაცვლილის კნ. ანასტასია ალექსანდრეს ასულის მაჩაბლის ცხედარს ჩამოასვენებენ ტფილისში დღეს, საღამოს ათ საათზე, მატარებლით.

◆ **ყოფილი საქართველოს ეგზარხოსი პლატონი.** როგორც გვატყობინებენ, ყოფილი საქართველოს ეგზარხოსი ინიშნება კავკასიის ეგზარხოსად და თბილისის არქიეპისკოპოსად. მისი თბილისის არქიეპისკოპოზად დანიშვნა იმის მომასწავებელია, რომ არა სურთ ავტოკეფალურ საქართველოს იერარხმა მიითვისოს ეს სახელწოდება. ჯერჯერობით ქართული ეკლესიის დებულებანი დროებით მთავრობის მიერ დამტკიცებული არ არის.

◆ **არჩევნები დამფუძნებელ კრებისათვის.** გასაგზავნ დეპუტატების არჩევნების მომწყობის საგუბერნიო კომიტეტის პრეზიდიუმის არჩევანი მოხდა მკათათვის 25-ს. პრეზიდიუმის თავმჯდომარეებად არჩეულ იქმნენ დ. მ. პოპოვი და ა. მ. არღუთინსკი, უფროს მდივნად ა. ს. ბაპოვი, უმცროს მდივნად ა. ლ. ზატსკი და კანდიდატად ვ. ა. ბოგუტსკი, შემდეგ საგუბერნიო საამომრჩევლო კომიტეტმა, თანახმად კომიტეტის წევრის მ. დ. საყვარელიძის წინადადებისა, გადასწყვიტა იშუამდგომლოს ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის წინაშე, რომ სამაზრო საარჩევნო კომისიებს ნება მიეცეთ მიიწვიონ თავიანთ წევრებად ადგილობრივ პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლები და სანამ პასუხს მიიღებდეს აღნიშნულ საგანგებო კომიტეტისაგან, შეუდგეს სამაზრო საარჩევნო კომისიების მოწყობას.

## კავკასია

◆ **ჩაჩნების მილიცია.** ჩაჩნების კრებამ ს. ალდაში მიიღო უსასტიკესი ზომები ყაჩაღობისა და ცარცვა-გლეჯის ძირიან-ფესვიანად ამოსაგდებად. ამის უმთავრეს საშუალებად კრებამ დაასახელა დაუყოვნებლივ შედგენა მილიციისა 700 კაცისგან. მილიცია იქნება ჩაჩნების კომიტეტის განკარგულებაში. მილიციის შენახვა ჩაჩნებს დაუჯდებათ 100.000 მანეთი თვეში.

◆ **ერობათა კავშირი.** მკათათვის 25-ს ერობათა კავშირის ამიერ კავკასიის განყოფილების კომიტეტის მდივნად ერთხმად არჩეულ იქნა ნაფიცი ვექილი გ. თ. ჟორდანია.

## საქართველო

◆ **ქართველ სამხედრო კავშირის კომიტეტი.** ქართველ სამხედრო კავშირი იწვევს დელეგატების საერთო ყრილობას, რომელიც შესდგება 20 აგვისტოს, საქართველოს დედა-ქალაქ თბილისში, ქართველთ სამხედრო კავშირის კლუბის შენობაში (ყოფილი ქართული თეატრი). განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) კომიტეტის მოხსენება. 2) მიმდინარე მომენტი. 3) საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია. 4) ჯარის ნაციონალიზაცია. 5) ქართველ სამხედრო პირთა ორგანიზაცია. 6) ქართველ სამხედრო კავშირის დამოკიდებულება სხვა და სხვა ერების სამხედრო ორგანიზაციებთან. 7) ქართველ ჯარის კაცების მონაწილეობა დამფუძნებელ კრების არჩევნებში. დელეგატების არჩევნების წესი: არჩევნებში მონაწილეობას იღებს ყველა ქართველი სამხედრო პირი: ჯარის-კაცი, აფიცერი, სამხედრო ექიმი და სამხედრო მოხელენი. საარჩევნო ერთეული პოლკია ან იმგვარივე ცალკე სამხედრო ნაწილი,მაგალითად:ლაზარეთი. ამორჩეულთა რიცხვის ნორმა 100 კაცია. თუ პოლკში ასი ან ასზე ნაკლები ქართველია, მაგრამ—არა უმცირეს 25 კაცისა, მაშინ ისინი ყრილობაზე დასასწრებლად ირჩევენ ერთ წარმომადგენელს, ხოლო თუ ასზე მეტია, მაშინ თითო ასზე თითო წარმომადგენელს. თუ პოლკში 25 ნაკლები ქართველია, მაშინ რამდენიმე პოლკის ქართველები შეერთებულ კრებაზე ერთ წარმომადგენელს ირჩევენ. გარდა ამისა, ყოველი კავშირის ადგილობრივი კომიტეტი გზავნის ერთ წარმომადგენელს.

◆ **საქართველოს ეკლესიის დროებით გამგეობის წევრად** გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამღვდელოებისაგან არჩეულ იქმნა მღ. ევ. ჩხაიძე.

◆ **ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის რეორგანიზაცია.** გურიის სამღვდელოების სამაზრო საბჭოს თავმჯდომარეს მღ. ე. ჩხაიძეს აცნობებს დროებითი საეკლესიო გამგეობისაგან, რომ მისმა მეუფებამ, კათალიკოსის მოსაყდრემ დაამტკიცა ხსენებული საბჭოს დადგენილება ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის რეორგანიზაციის შესახებ. ამ დადგენილების ძალით სამღვდელოების და მშობლების წარმომადგენლებმა ახლად უნდა აირ-

ჩიონ სასწავლებლის მთელი პედაგოგიური პერსონალი.

✦ **მაუდისა და შალეულობის ნიხრი და ტომრების ყიდვა.** სასურსათო კომიტეტი თბილისის გუბერნიისა ამ დღეებში გამოაქვეყნებს მაუდისა და შალეულობის მტკიცე ფასებს. კომიტეტი რამდენიმე ხნის განმავლობაში შეუდგება სასოფლო სამეურნეო ნაწარმოების შეძენას თბილისის გუბერნიაში და აგრეთვე ტომრების შესყიდვას. შეძენა ტომრებისა მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს: ჩრდილო-კავკასიაში ტომრები აღარ მოიპოვება და სასურსათო კომიტეტმა აქედან თუ არ გაგზავნა საკმაო ტომრები, ხორბალი და ფქვილი ერთი ფუთი არ გამოიგზავნება ჩრდილო კავკასიიდან.

✦ **ქ. შ. წ.-კ. გ. ს. გახსნილი კრედიტი.** მთავარმა კომიტეტმა 500 მან. კრედიტი გაუხსნა საზოგადოების გორის განყოფილებას. ამ ჯამის ფარგალში განყოფილებას მიეცემა გასასყიდი წიგნები.

✦ **ხელსაქმის აღორძინება.** სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში მიღებულ ცნობების მიხედვით, ყოველგვარ დარგის საქონლის გაძვირებას ძალიან გამოუფხიზლებია სოფლად ხალხი. რადგანაც არას ფხრივ საშველი არ არის, სოფლის ხალხი თითონვე შესდგომია ხელსაქმის გაძლიერებას. ბლომად ამზადებს ბამბისა, შალისა და აბრეშუმის ქსოვილებს, თიხის ჭურჭლებს, რკინეულს (დანებს, ცულებს, წალდებს და სხ.), ხისა და ჩალის ჭურჭლებს და სხ.

## ქუთაისი.

✦ **ხაოცარი ამბავი.** სასტუმრო „ცენტრალში" იმყოფება 19 წლის ჩაჩიბაიას ქალი. როგორც მშობლები ირწმუნებიან, ქალს ორი თვეა არაფერი არ უჭამია. ერთხელ მოკვდა, ხუთი დღით კუბოში იწვა, და შემდეგ ისევ გაცოცხლდა. ქალმა არ იცოდა მეგრულის მეტი სხვა ენა, მაგრამ როგორც მშობლები ირწმუნებიან, გამოლაპარაკების დროს ყველა ენაზე ლაპარაკობს. ქალი უცნაურ სიტყვებს ამბობს ომის შესახებ. ქალი ინახულა ილია ჩიქოვანმა, ექიმმა ვალ. ლორთქიფანიძემ, ქალაქის თავმა და ადგილობრივ გაზეთების კორესპონდენტებმა. ყველა მნახველი განცვიფრებაში მოვიდა.

## ბათომი.

✦ **ბათომის არჩევნების განხაჩივრება.** ხმებია, რომ თანახმად დროებით მთავრობისაგან მკათათვის 17-ს მიღებულ განმარტებისა, რომელიც ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტმაც დაამტკიცა, ყველა ის პროტესტები რომელნიც მკათათვის 9-ში ბათუმის სათათბიროს არჩევნებს შეეხებიან, ქუთაისის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებას გადაეცემა.

## პროვინცია.

✦ **ალაგირის სამკითხველო გვთხოვს** მისი მხრით მადლობა გამოვცხადოთ სად. ეისკაში მცხოვრებს ილიკო მამუკას ძე გუგუშაშვილს, რომელსაც შეუწირავს ალაგირის ქართული სკოლის და უფასო სამკითხველოს სასარგებლოდ ასი მანეთი (100 მან.)

# ქალაქის არჩევნების გარშემო

ქალაქის საარჩევნო კომიტეტმა შემდეგი დაადგინა: 1) ამომრჩევლებს ნება აქვს საარჩევნო ნომრები დაარიგონ, მაგრამ აკრძალულია ამა თუ იმ ნომრის ჩადება საარჩევნო პაკეტში, პაკეტის დაწებება და მით უფრო გახსნა დაწებებულ პაკეტის; 2) აკრძალულია რომელიმე პლაკატისა და მოწოდების აგლეჯა და იმ ადგილას სხვა პლაკატისა და მოწოდების გაკვრა, აგრეთვე აკრძალულია გაკრულ პლაკატებზე და მოწოდებებზე სხვა პარტიის მოწოდება-პლაკატების გაკვრა; 3) აკრძალულია ჩამორთმევა ცარიელ და დაწერილ პლაკატების; 4) არჩევნების დღეს (მკათათვის 30-ს) აკრძალულია ამომრჩევლების გაჩერება და ბიულეტენების მიჩეჩვა; 5) არჩევნების დღეს აკრძალულია საარჩევნო-საგიტაციო სიტყვების წარმოთქმა საარჩევნო სახლებსა და ეზოებში. ამ დღეებში გამოკრული იქნება კანონის ის ადგილი, რომელიც უჩვენებს, რომ თუ ზემოდ ჩამოთვლილი მუხლები ვინმე დაარღვია, ეს ყველას საბუთს მისცემს არჩევნები უკანონოდ ჩათვალოს და ახალი არჩევნების დანიშვნა მოითხოვოს.

— სალდათთა დეპუტატების საბჭოს საბრძოლო სექციამ გადასწყვიტა, რომ არჩევნების დღეს საარჩევნო ყუთებთან დარაჯები დააყენოს, რომელნიც აგრეთვე წესრიგის დაცვასაც ადევნებენ თვალ-ყურს.

# „წითელი წერტილი"

გაზეთი „ერთობა" სწერს: გუშინ თბილისის სატფოსტო კანტორის ბეჭედ დასმული კონვერტი მივიღეთ. კონვერტი უმარკოა და 19 ივლისის სატფოსტო ბეჭედ დასმული. კონვერტს აწერია № 340 და გამოგზავნილია „ერთობის" სახელზე. კონვერტში შემდეგი მოწოდება აღმოჩნდა: „უკანასკნელ ხანებში საშინლათ უსისიანებენ ერთი მეორეს სხვა და სხვა პარტიები, ორგანიზაციები და ერები. სოციალ-დემოკრატიული პარტია მენშევიკებისა ბოლშევიკებზე უსისიანებს, ბოლშევიკები—პირიქით; ისინი სოციალისტ-ფედერალისტებზე, სოციალისტ-რევოლიუციონერებზე, ესენი სოციალ-დემოკრატებზე და სხ. სხვა და სხვა კომიტეტები და ჯარის კაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოები თავიანთ თავს გარდა არავის სცნობენ. მოახლოებულია ჟამი, როცა ეს საბჭოები იბელთებენ დროს თუ არა, თავს დამოუკიდებლათ გამოაცხადებენ და მსგავსათ ნიკოლოზ მეორისა დაიწყებენ ხალხის სისხლის სმას სანამ მათთვის ეს სასურველი იქნება. ამ მდგომარეობაშია ამ ჟამათ ნაციონალური საკითხიც: ზემო ჩამოთვლილი პარტიებისა და ორგანიზაციების წყალობით ერთა წასისიანებაც სწარმოებს: ქართველებს უსისიანებენ სომხებზე, სომხებს—ქართველებზე, რუსებს—სომხებსა და ქართველებზე, თათრებს—სომხებზე და სხ. მსგავსათ რუსეთისა, კავკასიაშიაც მოეწყო პარტია, რომელსაც „წითელი წერტილი" ეწოდება. „წითელი წერტილი" სასტიკ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარებს ასეთ გამოსვლებს. მას ტერორისტთა საკმაო რიცხვი ჰყავს ამ პარტიებსა და ორგანიზაციებში და მათი შემწეობით მოქმედობს. არც ერთს ასეთ შემთხვევას „წითელი წერტილი" უპასუხოთ არ დასტოვებს და ის ღირსეულ პასუხს გასცემს მათ, თუ გინდ ამას მოკვლა მოჰყვეს. „წითელ წერტილს" ყველა კრებებისა და სხდომების სწორი ცნობები მოსდის, პარტიის სამოქმედო ადგილებია ქალაქები, დაბები და სოფლები. „გაუმარჯოს ტერორს"! ხელს აწერს „წითელი წერტილი".

— მოქალაქენო! ახლა თქვენ უკვე იცით რაშია საქმე. პროვოკატორები მუშაობენ სიტყვიერათ, მუშაობენ წერილობით! გააკრათ ისინი სამარცხვინო ბოძზე, აი სით მოგიწოდებთ თქვენ! —დაასკვნის გაზეთი.

ასეთი პროვოკაციული ბარათი „საქართველოს" რედაქციასაც მოუვიდა № 338 თარიღით...

# გუჩკოვის პასუხი ჩხენკელს

ინჟინერ ზავალიშინის საქმის შესახებ მკათათვის 11 ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა მინისტრ თავმჯდომარეს დეპეშა გაუგზავნა გუჩკოვის დეპეშის ასლითურთ. ეს კომიტეტი გუჩკოვს კავკასიის საქმეებში ჩარევის გამო პროტესტს უცხადებს. ამის გამო გუჩკოვმა ა. ი. ჩხენკელს შემდეგი პასუხი გამოუგზავნა: **მომქმედი ლაშქარი. მკათათვის 20. მ. ხ.** ეს არის ესლა მივიღე, ასლი იმ დეპეშისა, რომელიც ინჟინერ ზავალიშინის განთავისუფლების შესახებ ჩემი მოთხოვნილების პასუხად უნდა ჩაითვალოს. თქვენი დეპეშის მკვახე კილო და კილო მე არ მაშინებს. ყველასათვის ცხადი იყო რომ სამხედრო სამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარე და პატივცემული საზოგადო მოღვაწე ზავალიშინისა სატუსაღოში დაამწყვდიეს არა როგორც ამას ღირსი. ამ შეურაცმყოფელ ზომას ან სასამართლოს განკარგულებით მიმართვენ ხოლმე, ან კიდევ მაშინ, თუ კაცი სასამართლოს გაურბის. როგორც მოგეხსენებათ სასამართლოს ეს საქე არ განუხილავს, იმის თქმა კიდევ, რომ ზავალიშინი დაიმალებოდა, რა თქმა უნდა სასაცილო იქნებოდა. ასეთ პირობებში შეპყრობის აქტი თავნებობის აქტად უნდა ჩაითვალოს. თქვენ ხომ არ უარჰყოფთ რომ თვითნებობის ნიშნები ახასიათებს მთავრობასაც. მაგონეთ, თუ გნებავთ ძველი მთავრობა. მე მგონი, რომ ახალი მთავრობა, რომელიც ძველთან ბრძოლაში წარმოიშვა, თავის მართვა გამგეობით ნაკლებ უნდა ემსგავსებოდეს ძველს. დასასრულ ორ ბრალდებაზე გიპასუხებთ. მე რომ გენერალ ბოლხოვიტინოვს ვესარჩლებოდი, იმას მე სრულებითაც არ ვნანობ. ბოლხოვიტინოვს მე კარგად ვიცნობ. ეს პატიოსანი კაცი არასოდეს ქედს არ უხრიდა ძველ მთავრობას. მას დამოუკიდებელ აზროვნების არ ეშინოდა: მეორე თქვენი ბრალდება, იმას შეეხება, რომ ვითომ მე ჩემს პროტესტით ღვარძლს ვთესდე და საკონტრ-რევოლიუციო საქმეს ვეწყობოდე ხელს. ნუ თუ თქვენ ვერ გრძნობთ რომ ეს უკანასკნელი ბრალდება მთლად დროებითი მთავრობის აზროვნებიდან არის ნასესხები. მოიგონეთ თუ როგორ ჰსცვლიდნენ მაშინ ყოველივე თავისუფალ სიტყვას. და თუ ეს მაშინ რევოლიუციად ითვლებოდა, და ახლა კი—კონტრ-რევოლუციად,—სჩანს რომ ძველსა და ახალ მთავრობის მოქმედებაში არსებითად დიდი განსხვავება არ ყოფილა. და როგორც ძველი მთავრობა ნელ-ნელა რევოლიუციას ამზადებდა, ასევე ახალი ამზადებს კონტრ-რევოლუციას—ე. ი. ყველა იმის დაღუპვას, რის გულისათვისაც მრავალი (და მათ შორის მეც) აღფრთოვანებით შეეგება სახელმწიფოს გარდაქმნას.

თქვენს სამსახურად მზად მყოფი.

**გუჩკოვი.**

# ქალაქის არჩევნების გამო

**თბილისის არჩევნები.** მკათათვის 30 მოხდება საქალაქო არჩევნები. დროებით მთავრობის დადგენილებით საარჩევნო უფლებებით სარგებლობენ მხოლოდ ისინი, ვინც საარჩევნო სიებში არიან შეტანილნი. თუ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ ისინიც, რომელნიც ამა თუ იმ მიზეზების გამო არ არიან სიაში მოქცეულნი, მაშინ არჩევნები უკანონოდ ითვლება და ამდენი წვალება-დავიდარაბა ამაოდ ჩაივლის. ამიტომ ქალაქის საარჩევნო კომიტეტი და პოლიტიკური პარტიები დაბეჯითებით სთხოვენ მათ, ვინც სიაში არ არიან აღნიშნულნი თავი შეიკავონ და არჩევნებში მონაწილეობას ნუ მიიღებენ და მით მოგვცენ საშუალება მოვიწვიოთ დემოკრატიული ქალაქის გამგეობა.

# ანასტასია მაჩაბლის ხსოვნას

გარდაიცვალა ამიერ სოფლით ანასტასია ალექსანდრეს ასული მაჩაბლისა.

ვინ არ იცნობდა თბილისში და დანარჩენს საქართველოში ამ ქველმოქმედს და სათნო არსებას, საზოგადო მოღვაწეობის ულლის გამწევს და გულის ანხანაგს, გამოჩენილის და უბადლო მოღვაწის—ივანე მაჩაბლისას?

დიდი ღვაწლი მიუძღვის ივანე მაჩაბელს საქართველოს მიმართ საზოგადოდ და კერძოთ ქართლის წინაშე.

ის იყო სულის ჩამდგმელი და ბრძოლისათვის დამრაზმველი ქართული თაოსნობისა, სიბხნისა და სასოფლო სამეურნეო მრეწველობისა.

ის იყო ნიჭიერი პუბლიცისტი, ჩინებული რედაქტორი „დროებისა", ერთი დამაარსებელთაგანი „კვალისა", შეუდარებელი მთარგმნელი მსოფლიო გენიოსის შექსპირისა. ვინც თაყვანს სცემთ ამ შესანიშნავს მოღვაწეს საქართველოისას, მუხლი მოიყარეთ და ქუდი მოიხადეთ ანასტასიას საფლავთან, რომელიც წლობით იზიარებდა სახელოვანი ქმრის ჭირსა და ლხინს, დარდსა და მხიარულებას, და კდემით მოსილი სათნოებით ამხნევებდა მის ზნეობრივს ენერგიას და მოქალაქობრივ გამბედაობას ქართველი ერის სასიკეთოთ!

**ილ. ჭყონია.**

# სოფლის მასწავლებელთა მომზადება გაეროვნებულ სკოლებისათვის

ამ ჟამად, როცა რევოლუციის გრიგალია, გარეშე მისსა სხვა საქმეს თითქმის სულ არავინ ხედავს, თავისი პირადი მოწოდება ყველას დავიწყებული აქვს და ყველა მოპოვებული თავისუფლების განმტკიცებას ემსახურება. ცხადია ამას ვერავინ დაგმობს, პირიქით მოსაწონია, მაგრამ არც ის ვარგა პირადი ვალდებულება დავივიწყოთ და სხვა, თუ გინდ უაღრეს საქმეს, შევალიოთ მთელი დრო და ენერგია. ჩემის აზრით სოფლის მასწავლებელი თუ ნამდვილი მასწავლებელია, მაშინ ის სოფლისათვის ყველაფერია. რევოლუციასა და მის შედეგში მას წვლილი მიუძღვის, რადგან ჯარისკაცთა და მუშებს შორის შეგნება მათ შეიტანეს. რევოლუციის ბელადები წერა-კითხვის მცოდნე ჯარისკაცებია. აი ამიტომ სკოლებს უნდა გაუფრთხილდეთ და ყველა მასწავლებლის სამღთო ვალი უნდა იყოს სკოლებში წესიერი სწავლის გაჩაღება. ძველი მთავრობის დროინდელი სკოლები ჯერ არ იყო სახეირო და რაც იყო ისიც რა იყო? 1904 წლიდან საქართველოს სკოლებში ნორმალური სწავლა აღარ ყოფილა, მაშინ რომ შეირყა ნორმალური სწავლა დღემდე მოუწესრიგებელია. მოიგონეთ: გაფიცვა, რეპრესიები, მასწავლებლების ჯარში გაწვევა და დღევანდელი ამბები. სრული 12 წელიწადი სოფლის სკოლა სანახევროდ მომცდარი იყო. უკანასკნელი სამოსწავლო წელი ხომ თითქმის სულ არ ჩაითვლება. აჭარელი მასწავლებელი მარწმუნებდა, რომ აჭარაში მთელი წლის განმავლობაში 48 დღე ვიმეცადინეთო. თუ რის გაკეთებას მოასწრობდა 48 დღეში ეს თქვენ განსაჯეთ.

საზედნიეროთ ცხოვრება განახლდა და ეჭვი არ არის განახლდება სკოლაც. განახლებულ სკოლას მასწავლებელიც განახლებული უნდა შეხვდეს: შესაფერი ცოდნითა და ენერგიით აღჭურვილი. შესძლებენ კი ჩვენებური მასწავლებლები ახალი სკოლის გაძღოლას?! უმეტესობა ვერა. ენკენისთვიდან ჩვენებურ სკოლებში სწავლა ჩვენს ენაზე იქნება, ეროვნული სკოლები დაგვრჩება, ამისათვის კი მასწავლებლები მოუმზადებლებია. ეს ზაფხულიც გაირბენა, და თუ რაიმე არ ვიღონეთ სკოლები „მამინაცვლების" ხელში დარჩება და ეროვნულ სკოლებში გარუსებული მასწავლებლები გვეყოლება.

ფრიად მოსაწონი და მიბაძვის ღირსია ზუგდიდელი მასწავლებლების გადაწყვეტილება—ეს არდადეგების დრო მოანდომონ ქართული ენის შესწავლას და საზოგადოდ მოემზადონ ეროვნულ სკოლის მასწავლებლად. ზუგდიდი კარგი... მაგრამ ნუთუ სხვებს აწყენს მომზადება და ცოდნის მიმატება? ჩვენ ვიცნობთ ქართველ მასწავლებლებს და არ ვფარავთ და ვამბობთ, რომ 95% გვარიანი შალაშინი სჭირია. საქმე საშურია, გადადება საზარალოა. მასწავლებელთა მომზადება ვინმემ უნდა იკისროს და ეს ყველაზე მეტად შეშვენის წ. კ. გ. საზოგადოებას, რომლის გამგეობა, როგორც ვიცით ამ საქმისთვის მაშინ არას ზოგავდა, როცა ნებას არავინ იძლეოდა. დღეს ხომ ნებართვა არ სჭირია, სჭირია მხოლოდ საქმე. ვისაც ჩვენი ქვეყანა უყვარს, იმას მომავალი თაობის ბედიც უნდა აინტერესებდეს, ამ თაობის ბედის მჭედლები კი სოფლის მასწავლებლებია.

**ა—წ**

# საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრე ზარზმაში

20 მკათათვეს საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრეს, ყ. დ. უსამღვდელოეს ეპისკოპოსს ლეონიდსა სთხოვეს ახალციხის ქართველობამ ზარზმის ტაძრის კურთხევა 23, კვირას. 21 მისი ყოვლად უსამღვდელოესობა გაემგზავრა კიდეც. ავიარეთ სურამ-ბორჯომის გორ-სურამი და შევუდექით მშვენიერს, მტკვრის ხეობას, ძველს ტაშის კარს. ბორჯომში მოეგებნენ დეკანოზი დ. ხახუტაშვილი, აფიცრები, და ჩაჩიბაია ავტომობილით. საღამოს 5 საათზე ყოვლად სამღვდელო ლეონიდი მიბრძანდა ს. აწყვერის ეკლესიაში, სადაც თავი მოეყარათ ქართველ მაჰმადიანებსა და მართმადიდებლებსა. შემდეგ შეავიწყალენისა და მრავალჟამიერისა, ყ. დ. სამღვდელო ლეონიდმა ამბიონიდან შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა და მიულოცა თავისუფლება და დაარიგა მაჰმადიანი ქართველობა—ქალი და კაცი—მტკიცედ დაეცვათ თავისი სარწმუნოება და ვინაობა. განუმარტა სწავლა-განათლების მნიშვნელობა და უსურვა შვილების სწავლება და მომზადება განახლებულ ცხოვრებისათვის.

ეკლესიის გარეთ მაჰმადიანებმა მოახსენეს ქართულს ენაზე მღვდელმთავარსა მადლობა ასე მამაშვილურის დარიგებისათვის და აღუთქვეს—წმინდათ შევასრულებთ თქვენს ბრძანებასო. გაუდექით მტკვრის მარცხნივ გზასა, გაღმა-გამოღმა პატარ-პატარა სოფლები, შემუშავებული პატარა ველები და ციცაბო ფერდობები, რის მოხვნა დაბარვაც კი შეიძლება. მაგრამ უფერულად გამოიყურება სიმინდის ყანები და ბოსტნეულობა გვალვისა გამო. გზა და გზა თვალი გადავავლეთ საყარაულო გოგიას ციხეს. სლესის ციხეს (ტაშისკარის თავში), სოფლებს—მოქვავს, (რუინებია აქ), ტყემლანას, კლდეს, საყუნეთს, როკეთს, კუპამეს, შურდოს, მუგარეთს და სხ. მივედით ს. წნისში, სადაც მოეგებნენ მღვდელმთავარს ახალციხის კომისარის წარმომადგენელნი—მიტროფანოვი და მოწინიძე. შვიდის ნახევარზედ მაღლობ ბორცვზედ დავათვალიერეთ სასაფლაოზედ ძეგლი 1828 წ. ახალციხის აღების სახსოვრათ აღმართული. ამ დროს ბრძოლაში დახოცილან: თ. ვაჩნაძე, კნიაზი ელისიუსკი, და სხვ. 213 ჯარის კაცი. აქვე სამხრეთ-დასავლეთით ქვითკირის საფუძველზედ ძევს უშველებელი თუჯის ზარბაზანი. აქ სასაფლაოსთან მიეგებნენ ცხენოსანნი მხედარნი ქართველ-სომეხნი. რაბათის უბნის მისავალთან დაუხვდა აჟარებული შეკრებილი ქართველ-სომეხნი. რომელთაც ვრცელი სიტყვით მიმართა მღვდელთმთავარმა და დალოცა.

გავედით ხიდს და შუა ქალაქში დიდს ქუჩაზედ შეკრებილიყო ახალციხის საზოგადოება. აქეთ-იქით აივნებიდგან, ფანჯრებიდგან და სახლის სახურავებიდგან გადმოფენილი იყო ხალიჩები, დროშები, გადმოიყურებოდა მრავალი ქალი და კაცი, ძარს ხომ ტევა არ იყო ხალხისა. აქ კარგა მანძილი გზა დაფენილი იყო ხალიჩებითა; მაღლა ქუჩის გარდი-გარდმო კამარათ გადავლებული წითელი ლენტი ფრიალებდა წარწერით—„თავისუფალ ეკლესიის მამას მივეგებებით". ამ ადგილს რომ მივუახლოვდით, ოთხი პატარა ქალი ყვავილებით სავსე კალათებით მოეგებნენ მღვდელმთავარსა და ყვავილებს უფენდნენ გზა-გზა. წმ. გიორგის ეკლესიის მახლობლათ მოეგება შემოსილი სამღვდელოება დროშებითა და ჯვრითა. აქ მიეგება ქალაქის თავი გ. ნ. მინდოევი პურმარილით და სიტყვა მოახსენა რუსულათ: მოულოცა ნშვიდობით მიბრძანება, მადლობა უძღვნა და ქალაქის მცხოვრებთა მხრივ სიხარული გამოსთქვა.

შემდეგ მშვენიერი სიტყვა მოახსენა ქართველ კათოლიკეთა მოძღვარმა; ახალციხის მოსწავლე ახალგაზრდობის მხრივ მოახსენა სიტყვა მოსწავლე შეგირდმა რუსულათ. ამის შემდეგ გამოვიდა ახალგაზრდა აფიცერი ბ. კაპანაძე და წმინდა მამულისშვილური გრძნობით აღსავსე სიტყვა მოახსენა დიდი სიხარული მრავალ-ტანჯულის საქართველოს ეკლესიის განთავისუფლებისათვის და ასე დაამთავრა: ქართველი ახალგაზრდობის სახელით წრფელის გულით მოგახსენებთ და ფიცსა ვსდებთ, რომ ჩვენს წმინდა საქართველოს ეკლესიას დღეის შემდგომ ერთგულათ ვემსახურებით და თავს შევსწირავთ მისის დიდების აღდგენისა და განმტკიცებისათვისაო"...

შემდგომ მოხუცმა ქართველმა კათოლიკე გვარამაძემ მოახსენა ვრცელი სიტყვა, მოუთხრო მოკლეთ ძველი მესხეთის თავ-გადასავალი და შეადარა უკანასკნელ ასის წლის განმავლობაში საქართველოს ეკლესიის ჭირთავლობანი.

ბოლოს სომხების მოხუცებულმა ბლადოჩინმა მოახსენა სიტყვა. ყველა ამათ ყოვლად სამღვდელო ლეონიდმა მადლობა გადაუხადა და დალოცა.

შემდეგ სამღვდელოების წინ მძღოლით ეს აჟარებული კრება გაემართა წმ. გიორგის ეკლესიისაკენ, სადაც აივნიდან მიეგება და სიტყვა მოახსენა ყველასაგან პატივცემულმა დეკანოზმა დიმიტრი ხახუტაშვილმა. აქ გადახდილ იქმნა ლიტია შეგვიწყალენით და და მრავალჟამიერით. ეკლესიის გარეთ სიტყვით მიმართა მღვდელთ მთავარსა ჩვენმა საზოგადო მოღვაწემ მესხმა, კ. გვარამაძემ და თავისის გულის სატრფიალო ფიქრნი და მოსაზრებანი ცხად-ჰყო ყველასათვის.

მეორე დღეს შუადღის უკან წარვემართეთ ზარზმისაკენ. შევყევით მდ. ფოცხოვს მარცხნივ, მერე ქვაბლიანის მშვენიერს ხეობას. ამ არე-მარის თვალის წარმტაცი მიმზიდველობა იპყრობს ადამიანის სულსა და გულსა: არ იცი რაზედ შეაჩერო თვალი და პატარა ხანს დასტკბე—ირგვლივ აღმართულ ტყით-ნაძვნარიან მთებსა და კლდოვან-გორიან ვაკეებსა, თუ დაბლა ჩაწოლილ ხილნარით სავსე ხეობებსა, სადაც ყოველი მტკაველი მიწა შემუშავებულია. იხილავენ თვალნი მწვანეთ მობიბინე სიმინდის ველები, ვენახები და ხილნარები. ყანები უკვე გათიბულია და მომკილი და ბევრგან კალოები გამართულია და ილეწება პირნახული. ავიარეთ ხეობა ფოცხოვისა და თვალი გადავავლეთ სოფლებსა, ვალეს, უდეს, ადიგენს და სხვ. საღამოს ექვს საათზედ უკვე ზარზმაში ვიყავით. აქ ქართველი მაჰმადიანები, ქალი და კაცი მიეგებნენ ტაძრის ვალავნის კარის წინ და თვისი სიხარული განუცხადეს.

იმ საღამოს შესრულებულ იქმნა მწუხრი-ცისკარი ეკლესიურის წესისამებრ. მეორე დღე გათენდა და ხალხმაც იწყო მოდენა. დიდმა საზოგადოებამ მოიყარა თავი: აბასთუმნით, ახალციხიდგან, ვალეთგან, ქვაბლიანის ხეობიდგან და სხ. წირვის შემდეგ მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა მღვდელმთავარმა და მამინელნი დაატკბო სულიერათ. ათ საათზედ დაწყებული ტაძრის კურთხევა და ზედ წირვა სრულს ორ საათზედ გათავდა და ის ოთხი საათი მაჰმადიანებმა და ქრისტიანებმა სასოებით მოისმინეს, ... ბრწყინვალე ტაძრის კამარა თაღებს ქვეშ. აქ ამ მოძმე ხალხის ასე გაერთიანება მაყურებელს აღუძრავდა იდუმალს სიხარულსა სულისა და გულის დამატკბობელსა... წირვის შემდეგ საზოგადოებამ სთხოვეს მღვდელმთავარსა ფოტოგრაფიული სურათის გადაღება იქ დამსწრეთა თანა. შემდეგ მღვდელმთავარმა დარიგებითი სიტყვით მიმართა მაჰმადიან ქართველებს. სიტყვას უთარგმნიდა სადიგენლი მაჰმადიანი ვაჩნაძე. ბოლოს დიდი მადლობა და სიხარული მოახსენეს მაჰმადიანებმა მღვდელთმთავარსა და სთხოვეს—ნუ დაგვივიწყებთო. მღვდელმთავარმა აღუთქვა—მე ყოველთვის ვიზრუნებ თქვენის კეთილდღეობისათვის, რასაც ღმერთი შემაძლებინებს, და სანამ ცოცხალი ვარ, დღევანდელი თქვენთან გატარებული დღე სასიამოვნო მოსაგონებელი იქნება ჩემთვის და ვერ დაგივიწყებთო...

**მღ. პ. კარბელაშვილი.**

# კრება სახალხო თავისუფლების პარტიისა

24 მკათათვეს გაიხსნა მეცხრე კრება სახალხო თავისუფლების პარტიისა, რომელიც პოლიტიკურ გარემოებათა გამო მოულოდნელად გადმოტანილ იქმნა მოსკოვიდან პეტროგრადს. თავმჯდომარეობს თავადი დოლგორუკოვი. დელეგატთა რიცხვი 200. მოისმინა რა ვინავერის მოხსენება შესახებ არჩევნებისა დამფუძნებელ კრებისათვის, კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: აუცილებლად საჭიროა ჩქარა იქმნას მოწვეული დამფუძნებელი კრება, მაგრამ, რომ იგი ნამდვილი გამომხატველი იყოს ხალხის ნებისა, დამფუძნებელი კრების მოწვევის ვადა უნდა შეფარდებულ იქმნას იმ დაწესებულებათა და ადგილობრივ გამგეობათა მოწყობასთან, რომლებიც არჩეულ უნდა იქმნენ მთელი ხალხისაგან, რაიცა წინასწარვე ნაგულისხმევია თვით დამფუძნებელ კრების არჩევნების კანონით. კრება აღიარებს, რომ საპარტიო ორგანოებმა უნდა თვალყური ადევნონ როგორც წინასწარ სამუშაოს ისე სიების შედგენას. საპარტიო ორგანოებმა უნდა იზრუნონ, რომ ადგილობრივ საარჩევნო კომისიებში შეტანილ იქმნენ პარტიათა წარმომადგენელნიც. დამფუძნებელ კრების არჩევნებში პარტიები გამოვლენ სათითაოდ. აკრძალულია ბლოკის შეკვრა მონარქიულ და დამარცხებულ პარტიებთან; უნდა გამოყენებულ იქმნას ბლოკები ნაციონალურ, სარწმუნოებრივ, ადგილობრივ ყოფაცხოვრების ჯგუფებთან.

# მიწის საკითხი

**ხმა სოფლიდან**

მომენტის მიერ წამოყენებული უთვალავ საკითხებთაგან უმთავრესი, უმაღლესი და უსაჭიროესი არის მიწის საკითხი. ეს არის ღერძი, დედაბოძი, საკითხთა შორის—გული და სული.

მიწის საკითხთან ფოლადის ჯაჭვით გადაბმულია გლეხკაცი... და როცა მის ქორწილს აწყობენ, უნდა შეეკითხონ მას თითონ.

გლეხკაცს აუჩქად აგდება იაფად არავის დაუჯდება.

სხვა ყოველივე,—როგორც გნებავთ, ბატონებო, მაგრამ მიწის საკითხს ასე თუ ისე გადაწყვეტა გლეხკაცს უნდა დაუთმოთ.

თორემ, სანამ რევოლუციით არაქათ-გამოლეული ქვეყანა გონს მოეგებოდეს, გატაცებული თეორეტიკოსების მიერ ჩათრეული გლეხების აჯანყება ხელ-ახლად აპრიალებს ცეცხლის ალს.

არც ის არის სასურველი, რომ მიწაზე კერძო საკუთრების შესახებ კითხვა, გინდ გლეხების წარმომადგენლების დასწრებითაც, გაირჩეს სადმე ოთახის დახშულ ჰაერში; ის უნდა გაირჩეს სოფლად, სოფლის ყრილობებზე, სადაც თითოეულ გლეხს საშუალება ექნება თვისი პირით გამოსთქვას თვისი საკუთარი აზრი და ამ შემთხვევაში ის სრულიად თავისუფალი უნდა იყოს „აპეკუნ-გულშემატკივარის" გავლენისაგან.

ასეთი განაჩენი იქნება სრული, გულდასადები, სამართლიანი, ...

ბული მოპოვებული თავისუფლების ნია-დაგზე. ასეთი განაწესით თამამად შეუძლია ჩვენს დეპუტატს წარსდგეს დამფუძნებელი კრების წინაშე. შესაძლებელია გლეხობა გამოიტანოს განაწილების წინააღმდეგ სოციალისტ-რევოლუციონერების პრინციპი, მაგრამ ამ შემთხვევაში—„თავს სინანული სჯობია, ბოლო ჟამი დანანებისა“.

კირილე წულაძურიძე.

## სკოლების ნაციონალიზაცია იმერეთში

იმერეთის სამოსწავლო უწყების კომისარიატის მიერ—ი. ოცხელის, ს. ხუნდაძისა და ს. როზმაქიძისაგან შემდგარი განცხადება გაეგზავნება საშუალო სასწავლებლების უფროსებს და პირველ ყველა დაწყებითი სკოლების ინსპექტორებს: „სახალხო სკოლების და საშუალო სასწავლებლების პირველი ორი კლასის ნაციონალიზაციის გამო ... [illegible] ... რუსული ენა უნდა ისწავლებოდეს მეორე კლასიდან ... [illegible]

ნობებით, რომ დირექტორებად და სკოლების ხელმძღვანელებად დროებით შეუძლიათ დანიშნონ რუსები, მაგრამ ... [illegible] ... ქართული ენა, ... [illegible]

ამ წესით უნდა მოხდეს ნაციონალიზაცია ... [illegible]

## სამანუფაქტურო ნიხრი

რათა თანასწორად განაწილდეს ... [illegible] ... საქონელი, ... [illegible] ... ფასებში,—გამოცხადებულია შემდეგი ფასები:

| | ნარდად მან. | ნარდად კაპ. | წვრილად მან. | წვრილად კაპ. |
|---|---|---|---|---|
| ჩითი თეთრმოსივილი (სტერანგი) 4/4 | — | 52 | — | 65 |
| „ ნათელი (საბიბ) | — | 56 | — | 70 |
| „ მოშავო (საბეკე და სატანისამოსი) | — | 60 | — | 75 |
| „ 3/4 ნათელი | — | 68 | — | 85 |
| „ „ მოშავო | — | 77 | — | 95 |
| ხატინი მოსაკვეთი ფერმიტისა (ცინდელისა, პრიოროვისა, კომნსიარისა) 4/4 | 1 | 16 | 1 | 45 |
| ხატინი სხვა ქარხნებისა: 4/4 | 1 | 60 | 2 | 45 |
| ნათელი | — | 92 | 1 | 15 |
| მოშავო 4/4 | 1 | — | 1 | 25 |
| „ 3/4 | 1 | 32 | 1 | 65 |
| ბატისტი სადა | 1 | 12 | 1 | 40 |
| „ დასახილი, შემოსაკრავი | 1 | 16 | 1 | 45 |
| ლანკორტი, მადაპოლამი და მიტკალი (მორზოვისა) 4/4 | — | 56 | — | 70 |
| „ | — | 72 | — | 90 |
| ფლავი სხვა ქარხნებისა 10%-ით იაფია: | | | | |
| ოქსფორდი რბილი (ოქ ... ) 16 ვერშოკიანი | — | 72 | — | 90 |
| „ მაგარი, ... (ბოლშებისა და სხვ.) 16 ვერშოკიანი | — | 64 | — | 80 |
| ქრეტონი ფერადი (სასტიჰუნ) 4/4 | — | 68 | — | 85 |
| „ ... 4/4 | — | 88 | 1 | 10 |
| მიტკალი სქელი 15 ვერშოკიანი | — | 40 | — | 50 |
| 16 | — | 44 | — | 55 |
| 18 | — | 48 | — | 60 |
| 20 | — | 52 | — | 65 |
| ბიაზი სქელი 13 | — | 64 | — | 80 |
| 14 | — | 68 | — | 85 |
| 15 | — | 72 | — | 90 |
| 16 | — | 80 | 1 | — |
| 18 | — | 88 | 1 | 10 |
| 20 | — | 92 | 1 | 15 |
| ბიაზი თეთრად გამოყვანილი 15 ვერშოკიანი | — | 74 | — | 92 |
| 16 | — | 82 | 1 | 03 |
| 18 | — | 92 | 1 | 16 |
| 20 | — | 94 | 1 | 18 |
| ბიაზი თბილისური № 3. | — | 64 | — | 80 |
| „ № 4. | — | 88 | 1 | 10 |
| 18 ვერშოკიანი | 1 | 08 | 1 | 35 |
| 5/4 „ | 1 | 16 | 1 | 45 |
| ბუმბაზეია ლამა | — | 72 | — | 90 |
| „ ქიშმირისა | — | 84 | 1 | 05 |
| ბუმბაზეია შევიოტი | — | 96 | 1 | 20 |
| ბაიკა ერთგანი | 1 | 20 | 1 | 50 |
| „ ორგანი (24 ვერშოკიანი). | 2 | 00 | 2 | 50 |

## სატანისამოსო ქსოვილები

(ბამბისა, მატყლისა, მაუდისა და სხვ.)

სატანისამოსო საქონელი უნდა იყიდებოდეს ნაჩვენებ ფასებში, როგორც ნარდად ისე წვრილად მოვაჭრეებთან. აქ მოხსენებული ფასები უნდა აღნიშნული იყოს საქონლის ყოველ ნაჭერზე. წვრილად მოვაჭრეებმა უნდა იხელმძღვანელონ შემდეგით:

1) ერთს პირს შეიძლება მიჰყიდონ არა უმეტეს 10 არშინისა საპერანგე თუ საკაბე საქონლისა ოჯახის თვითეულ წევრზე. ოჯახის წევრთა რიცხვი უნდა იცოდეს ყოველმა მოვაჭრემ, რომელიმე ოფიციალურად შემოწმებული საბუთიდან და მასზედვე აღნიშნოს რიცხვი მისყიდული საქონლისა. ერთს პირს შეიძლება მიჰყიდონ საქონელი ერთხელ ორ თვეში.

2) ნარდად მოვაჭრეებმა უნდა მიჰყიდონ საქონელი წვრილად მოვაჭრეებს სასურსათო კომიტეტების ნებართვით. გასყიდული საქონლის შესაწოწმებლად ნარდად მოვაჭრენი მოვალენი არიან დაწვრილებითი ცნობები აწარმოონ შემოსულ და გასულ საქონლისა.

3) დამრღვევნი მოხსენებულ სავალდებულო დადგენილებისა, თანახმად 29 მუხლისა სასჯელთა დებულებისა (კან. კრ. ტ. 15, გამოცემა 1914 წ.), განმარტებული დროებითი მთავრობის დადგენილებაში 17 მარტს 1917 წ., ისჯება დატუსაღებით არა უმეტეს 6 თვით, ანუ ციხით არა უმეტეს 3 თვისა და ანუ ჯარიმით 300 მანეთამდე. ეს დადგენილება შედის ძალაში დღიდან განცხადებისა.

თბილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტი

თავმჯდ. მაგივრად დანდუროვი

მდივანი აფონსკი.

22 ივლისი, 1917 წ.

## კორესპონდენცია

**სოფ. ალაგირი.** (თერგის ოლქი). 9 მკათათვეს აქ გამართეს საღამო ქართული სკოლის დარბაზში კბილის ექიმთა კურსების სასარგებლოთ. წარმოდგენილი იყო ქართულ ენაზედ, 1) „მოულოდნელი შემთხვევა“, 2) „ბნელ ოთახში“, 3) „ორი მშიერი“. საღამომ ძლიერ კარგად ჩაიარა და ხალხიც მადლობელი დარჩა, რადგანაც 7 თვე არას ერ ყოფილა აქ არავითარი საღამო. დასასრულ გაიმართა ქართული და ევროპიული ცეკვა-თამაში. მონაწილეობას იღებდნენ: ქ-ნი მ. კ. მეტრეველი, ე. მ. გიგაური, ნ. ბ. ლობჯანიძე, ბ-ნი პ. დ. მეტრეველი, ი. ბ. ლობჯანიძე, ი. ი. ლობჯანიძე, ა. დ. მეტრეველი.

ილია ალექსიშვილი.

## ღია წერილი

(ი. ევდოშვილის კრებულზე ხელის მომწერთა საყურადღებოდ)

ვთხოვ ყველა იმ ხელის მომწერს, ვისაც რაიმე მიზეზით წიგნი არ მიუღია, **წიგნი მოიკითხოს მარიამობისთვის თხუთმეტამდე წ. კ. საზ. კანცელარიაში მდივან ვარლამ ბურჯანაძის მისამართით.**

ამ უკანასკნელ ვადის მერე არავითარი მიწერ-მოწერა ამ საგნის თაობაზე აღარ მიიღება.

ამასთანავე ვთხოვ იმ დამხმარეთ, რომელთაც დღევანდლამდე ანგარიში არ გაუსწორებიათ, კეთილ ინებონ და მარიამობისთვის ნახევრამდე უსათუოდ გაასწორონ ანგარიში, რათა საშუალება მომეცეს წიგნის გამოცემის ანგარიში გამოვაქვეყნო.

პატივისცემით ნ. **კურდღელაშვილი**

P. S. ქუთაისურ გაზეთებს ვთხოვ ეს წერილი გადაბეჭდონ.

სოხუმის დამხმარეთა საგულისხმოდ ვაცხადებ, რომ სოხუმის ხელის მომწერთათვის ბიუროს საშუალებით თავის დროზე გაგზავნილი 50 წიგნი გზაში დაკარგულა. ვთხოვ სოხუმის დამხმარეთ, დაავალონ თბილისში წამომსვლელს ვისმე, რათა შეიარონ წ. გამ. საზ. კანცელარიაში, სადაც ბ-ნ ვარლამ ბურჯანაძისაგან მიიღებს ხელის მომწერთათვის 50 ცალს ევდოშვილის წიგნისას.

ნ. კ.

## წერილი რედ. მიმართ

მოქალაქე რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგ მოკლე წერილს.

1) ვაქირის (სიღნაღის მაზრა) ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ განვლილ თიბათვეში სცენის მოყვარე ახალგაზდობისაგან გამართულ იქმნა სამი წარმოდგენა და ერთი ლოტარეა-სეირნობა. პირველ წარმოდგენიდან შემოსავალი იყო 207 მან. 44 კ., გასავალი 102 მ., დარჩა მოგება 115 მან 44 კაპ.

მეორე წარმოდგენიდან: შემოსავალი 142 მან. 60 კ., გასავალი 129 მ. 27 კაპ., დარჩა—13 მ. 33 კ.

მესამე წარმოდგენიდა (საყმაწვილო) მივიღეთ 9 მ.ნ.

ლატარია-სეირნობიდან: შემოსავალი 182 მან. 43 კ., გასავალი 74 მან. 65 კაპ., დარჩა 107 მან. 79 კაპ.

სულ მივიღეთ 245 მან. 56 კ. რაც შევიტანეთ ვაქირის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობაში კასის წიგნში № 29.

სამკითხველოს გამგეობა უღრმეს მადლობას უძღვნის ყველა შრომის გამწევთ და დამსწრე საზოგადოებას. სამკითხველოს გამგეობა იმედოვნებს, რომ სცენის მოყვარენი და ყველა თანამგრძნობნი შემდეგშიაც არ დაივიწყებენ სამკითხველოს, შეძლების-დაგვარად დახმარებას არ დაიზარებენ და ამით ხელს შეუწყობენ ჩვენი ხალხის გათვითცნობიერების საქმეს.

სამკითხ. გამგე მღ. **ირაკ. ცინცაძე.**

—

უცოხჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის „საქართველოს“ საშვალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ წიგნის მაღაზიის „ცოდნა“-ს პატრონს სოსიკო მერკვილაძეს, რომელმაც ქართველთა სამხედრო კავშირის ქ. გუმბრის განყოფილებას შემოსწირა ოცდახუთი წიგნი ღირებული 5 მანეთად და 2 კაპიკათ.

ქართველთა სამხედრო კავშირის ქ. გუმბრის კომიტეტის მდივანი ჯ.-კაცი **ნიკ. ახათიანი.**

რედაქტორი **გრიგოლ ვეშაპელი.**

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თბილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | სამგ. | № 3, | 11.08 | დილ. |
| „ | სამგ. | № 9, | 11.48 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 8,20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 8.54 | დღ. |
| „ | სამგ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ, | № 4-5, | 11.18 | საღ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 | დილ. |
| „ | სამგ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ბაზ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | სამგ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | სამგ. | № 3ბის, | 8.10 | დილ. |

**მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ქუთაისის გაზეთზე**

1917 წელ. **ჩვენი ქვეყანა** 1917 წელ.

გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 1 მან. და 50 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სეკტემბრის დამლევამდი.

რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.

რედაქტორი **დ. კვირკველია.**

**მოსკოვის ქართულ სამეცნიერო საზოგადოების გამოცემა**

გრიგოლ ვეშაპელის წიგნი

# Единство Грузіи и Русскій протекторатъ

(რუსეთ-საქართველოს ტრაქტატი და ქართლ-კახეთისა, იმერეთისა, სამეგრელოსი და გურიის დაკავშირებითი ხელშეკრულება)

**იყიდება თბილისში:**

მ. კიკნაძის („ნოვაია რეჩ“), ცენტრალის და წერა-კითხვის წიგნის მაღაზიებში.

საწყობი: Москва, Поварская 29, Общество Грузинъ.

**წიგნის ფასი 75 კაპ.**

3—706—2

# ახალი საკრებულო

საზაფხულო სადგომი. მიხეილის ქუჩა № 131.

(ყოფილი ხარფუხის კლუბი)

## მამასახლისთა საბჭო

აუწყებს თავის წევრთ, რომ ხუთშაბათს 27 ივლისს 1917 წ. საღამოს 7 საათზედ დანიშნულია გაგრძელება

## არაჩვეულებრივი კრებისა

რომელზედაც განიხილვება მიმდინარე საქმეები და მოხდება არჩევნები წევრებისა და კანდიდატებისა.

1—714—1

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი უბნის კომიტეტი

გადავიდა ახალ ბინაზე, ფრეილინის ქუჩა № 12. ქართულ სათავად-აზნაურო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდინ და საღამოს 7—9 საათამდინ, ვსთხოვთ წევრებს და თანამგრძნობელთა ამ დროს განმავლობაში მობრძანდნენ ხოლმე ცნობების მისაღებად. წევრებათ ჩასაწერად და ყოველ თვიური გადასახადის და შეწირულობის შემოსატანად. ყოველგვარი ცნობების მიღება და წევრად ჩაწერა შეიძლება აგრეთვე „საქართველოს“ რედაქციაში ბ-ნ. **ევგენი იაკობის ძე გვაზავასთან.**

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-8 და მე-9 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოთ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მესამე მომრიგებელ მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან **გ. ყიფიანთან.**

751

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის X და XII უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ-დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. დუმბაძესთან და კლუბის ბუჰგალტერ კალატოზიშვილთან.

10—742—10

## სად. სურამითოვის მახლობლად ს. საჯანის-ხევაში

გამართულია

# სამკურნალო აბანო

არჩენს ყოველ გვარ ქარებს, სხეულის სისუსტეს, მუწუკებს და ძვალ ტეხასა. წყალი ცხელია და ცხელიც, არის სადგომი ბინა, მიმოსვლა შეიძლება ურმით სად. სურამითოვიდან, დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სად. სურამითოვში, ტელეგრაფისტ კ. გაჩეჩილაძისაგან.

**აბანოს გამგე მიხეილ ბარბაქაძე.**

4—725—2

**პარასკევს, 28 ივლისს, საღამოს 6 საათზე, ქართველთ სამხედრო კავშირის** კლუბში (ყოფილი ქართული თეატრი) მოხდება

## ქართველთ სამხედრო კავშირის თბილისის წევრთა და თანამოაზრეთა

# საერთო კრება

**დღის წესრიგი:**

1) კომიტეტის მოხსენება,
2) მიმდინარე მომენტი,
3) საორგანიზაციო საკითხი,
4) მოხსენება ქართველ მხედართა დელეგატების საერთო ყრილობის შესახებ.

3—713—2

**ლატარეის მოგებისა**

მოძღ ანთიმოზის ძე

## ქალანდარიშვილი

ყოფილი ექიმი ... [illegible]

**ავადმყოფებს ... [illegible] ... მანგლისში**

საკადეტო კორპუსის ბანაკში

**ექიმი**

## გ. ი. მარნაძე

იღებს ... [illegible] ... ავადმყოფებს ... [illegible] ... საღამოს 5—7 საათამდე, ... [illegible] ... № 4. (თ.—302—)

**ექიმი**

## ე. ღ. შალამბერიძე

იღებს სახეებით და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.**

**ექიმი**

## გ. გ. მუხაძე

იღებს სადიოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა.

**მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67;** ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. **ტელეფონი № 5—77.**

**ექიმი**

## გ. ფ. მგალობლიშვილი

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.**

**ექიმი ქალისა**

## ე. ივ. გალაჯაშვილი-მათეშვილისა

**იღებს ავადმყოფებს:**

დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.

**ბერძენიშვილის და ... ქუჩის კუთხე № 20.**

**ექიმი**

## გ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.

მიხეილის პროსპ. № 86, მეორე სართული.

**ექიმი**

## ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.

(თ—703—4)

**ექიმი**

## გ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკოვსკის ქუჩა, № 19.

# კომიტეტი ქართველთა სამხედრო კავშირისა

მოუწოდებს ყველა ქართველ მეომარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხ. ექიმებს და მოხელეებს) ჩაეწერნენ აღნიშნულ კავშირში, რომლის მიზანია რუსეთის რევოლიუციის ხელის შეწყობა და საქართველოს ავტონომია. კომიტეტის ბინა მოთავსებულია ახალ კლუბის შენობაში (სახაზინო ქუჩა). ცნობების მიღება შეიძლება „ჯარის კაცის“ რედაქციაში დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8-დე.

10—740—10 კომიტეტი ქ. ს. კ.

## თავზის მრეწველნი

# ძმ. ბებველოვები

ბებუთოვის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მიიღება საკუთარ და სხვადასხვა საბ. „ლ. ... [illegible]“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მეტადრე ... [illegible], შავი „ბუ-ზიანი“ ხიზილალა. მიიღება საუკეთესო ... [illegible] ... ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მჭადური ზუთხი, თართი, ... [illegible] ... და სხვა სახეობის ... [illegible] (წ.)